ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N14

03.12.2019

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. ბაკალავრიატის 2020–2021 წლის ანკეტა–კითხვარების დამტკიცება;
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში: მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინება).
3. სამაგისტრო პროგრამის "მასწავლებელთა განათლება" სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის დამტკიცება.
4. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

თავმჯდომარე: დეკანი, პროფ. თ. გაგოშიძე

მდივანი: პროფ. ლ. სურმანიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

პროფესორები: მ. წერეთელი, ქ. ჭკუასელი; ასოც./პროფესორები: ვ. ნადარეიშვილი, მ. მელიქიშვილი, თ. აბაშიძე, გ. გოროშიძე, ლ. ხეჩუაშვილი, ა. ქიტიაშვილი, ლ. არუთინოვა, მ. მესტვირიშვილი, ხ. მარწყვიშვილი, შ. მამუკაძე, ნ. ლაბარტყავა, რ. სანაძე; ზ. ქიტიაშვილი.

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომა*დგენლები:*

ბორჩაშვილი მარინა
ცანავა ქეთევანი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 19 წევრი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ აცნობა საბჭოს დამსწრე წევრებს, რომ საბჭოს მდივანი ი. ჟვანია საპატიო მიზეზით ვერ ესწრება სხდომას. მან მიმართა საბჭოს წევრებს, დაესახელებინათ ერთჯერადად საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურა. დასახელებულ იქნა პროფ. ლ. სურმანიძე. აღნიშნული კანდიდატურის არჩევას მიმდინარე სხდომის მდივნად ეყარა კენჭი.

მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

სხდომის მდივნის არჩევის შემდგომ ფაკულტეტის საბჭო შეუდგა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვას.

განიხილეს:

1. ბაკალავრიატის 2020–2021 წლის ანკეტა–კითხვარების დამტკიცება

- ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის განხილვა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა შეავსო შესაბამისი ანკეტა-კითხვარი, რომლის თანახმადაც პროგრამა ითხოვს 10 ადგილს და სთხოვს საბჭოს დადასტურებას.

კენჭი ეყარა ოკუპაციური თერაპიის სამაგისტრო პროგრამისთვის 10 ადგილის გამოყოფას.

მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

საბჭომ იმსჯელა ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები გამოცდების საგნებისა და კოეფიციენტების შესახებ. აღინიშნა, რომ მეოთხე არჩევით საგნად აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ ან ქიმია, ან ფიზიკა ან მათემატიკა. კოეფიციენტები განაწილდა შემდეგნაირად:
ქართული ენა და ლიტერატურა –4;
უცხოური ენა (ინგლისური)–4;
ბიოლოგია–3;
ფიზიკა/ქიმია/მათემატიკა–1;

ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ 3 აბიტურიენტი ჩაირიცხება ფიზიკის ჩაბარებით, 3 ქიმიის ჩაბარებით და 4 მათემატიკის ჩაბარებით.

პრიორიტეტულ საგნებად საბჭომ დაამტკიცა ქართული ენა, უცხოური ენა (ინგლისური), ბიოლოგია, და ფიზიკა/ქიმია/მათემატიკა.

ამის შემდეგ საბჭომ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საგნებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე:

ქართული ენა - 41
უცხოური ენა - 41
ბიოლოგია –41
მათემატიკა - 21

ფიზიკა –26
ქიმია 26

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ მულტილინგვური განათლება (დაწყებითი განათლების საფეხური) პროგრამის ხელმძღვანელი ითხოვს 50 ადგილს და სთხოვს საბჭოს დადასტურებას.

საბჭომ იმსჯელა მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე– მისაღები გამოცდების საგნების შესახებ. აღინიშნა, რომ მესამე არჩევით საგნად

ქართული ენა - 6
ქართული ენა და ლიტერატურა –6
უცხოური ენა - 3
მათემატიკა/ისტორია – 3

პრიორიტეტულ საგნებად საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ქართული ენა, მათემატიკა/ისტორია და უცხოური ენა. 25 აბიტურიენტი ჩაირიცხება მათემატიკის ჩაბარებით და 25 ისტორიის ჩაბარებით.
ამის შემდეგ საბჭომ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საგნებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე:

ქართული ენა - 51
უცხოური ენა - 21
ისტორია - 41

მათემატიკა - 21

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ითხოვს 50 ადგილს და სთხოვს საბჭოს დადასტურებას.

საბჭომ იმსჯელა პროგრამაზე დაწყებითი განათლება მისაღები გამოცდების საგნების შესახებ. აღინიშნა, რომ მესამე არჩევით საგნად მიწოდებულია ორი საგანი - მათემატიკა/ისტორია. საბჭომ იმსჯელა მისაღებ საგანთა კოეფიციენტებზე, ამგვარად:

ქართული ენა - 5
უცხოური ენა - 2
მათემატიკა/ისტორია – 5

პრიორიტეტულ საგნებად საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ქართული ენა, მათემატიკა/ისტორია და უცხოური ენა. 25 აბიტურიენტი ჩაირიცხება მათემატიკის ჩაბარებით და 25 ისტორიის ჩაბარებით.
ამის შემდეგ საბჭომ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საგნებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე:

ქართული ენა - 50
უცხოური ენა - 30
ისტორია - 40
მათემატიკა - 30

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა- 0

- საბაკალავრო პროგრამა – ფსიქოლოგია – ანკეტა-კითხვარის განხილვა.

საბჭომ იმსჯელა ფსიქოლოგიის სპეციალობაზე მისაღები გამოცდების საგნების შესახებ. აღინიშნა, რომ მესამე არჩევით საგნად მიწოდებულია ორი საგანი - მათემატიკა/ისტორია. საბჭომ იმსჯელა მისაღებ საგანთა კოეფიციენტებზე და კოეფიციენტები გაანაწილა თანაბრად. ამგვარად:

ქართული ენა და ლიტერატურა- 4
უცხოური ენა - 4
მათემატიკა/ისტორია - 4

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიას აქვს 225 ადგილი და საჭიროა განისაზღვროს მესამე არჩევითი საგნების წილი. საბჭომ იმსჯელა და და გადაწყვიტა, რომ 70 აბიტურიენტი ჩაირიცხება მათემატიკის ჩაბარებით, ხოლო 155 - ისტორიის.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

პრიორიტეტულ საგნებად საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ქართული ენა, უცხოური ენა და მათემატიკა/ისტორია.

ამის შემდეგ საბჭომ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საგნებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე და კენჭი უყარა სქემას:

ქართული ენა - 40
უცხოური ენა - 40
ისტორია - 40
მათემატიკა - 25

მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

2. ცვლილებები "მულტილინგვური განათლების" დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიანი ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში.

ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ "მულტილინგვური განათლების" დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიანი ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი პროგრამა. მ. მელიქიშვილის ცნობით, ამ პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა რეაგირება მოახდინა აკრედიტაციის ექსპერტთა საბოლოო დასკვნაში წარმოდგენილ რჩევებსა და რეკომენდაციებზე, შეიტანა ცვლილებები/შესწორებები შესაბამის სილაბუსებში. კერძოდ:

- პროგრამის განმახორციელებლებმა წარმოადგინეს პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსები, რომლებიც ტექნიკური მიზეზების გამო არ იყო წარმოდგენილი ექსპერტებთან;
- სილაბუსში „შეფასების სისტემა დაწყებით სკოლაში" აქცენტირებულ იქნა განმავითარ ებელი შეფასება; შეიცვალა შინაარსობრივი ნაწილი;

- სილაბუსი „საქართველოს განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები“ შესაბამისობაში მოვიდა თანამედროვე მოთხოვნებთან;
- სილაბუსიში „სოციოკულტურული კომპეტენციის სწავლების სტრატეგიები“ ძირითა დი ლიტერატურის ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა რუსულენოვანი ლიტერატურა.

ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამაში განხორციელებული კორექტივების საფუძველზე პროგრამამ მიიღო დასრულებული სახე და წარმოდგენილია ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა "მულტილინგვური განათლების" დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიანი ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებას.

მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრებს ასევე გააცნო აღნიშნული პროგრამისთვის გამოსაყოფი ადგილების რაოდენობა. მისი ცნობით, პროგრამის ხელმძღვანელი კ. გაბუნია ითხოვს 50 ადგილს, მათგან 25 ადგილი ფინანსდება.

კენჭი ეყარა მულტილინგვური განათლების - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 50 ადგილის გამოყოფას.

მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

3. სამაგისტრო პროგრამის - "მასწავლებელთა განათლება" - სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის დამტკიცება.

ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს აუწყა, რომ სამაგისტრო პროგრამას - "მასწავლებელთა განათლება"- ეწურება აკრედიტაციის ვადა. ამ გარემოების გამო მოცემული პროგრამის სტუდენტების წინაშე დგას ამოცანა, დახურონ სემესტრი ვადაზე შედარებით უფრო ადრე, კერძოდ, ა/წ. 31 დეკემბრის ჩათვლით ვადებში. ამიტომ პროგრამის სტუდენტებისთვის საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის დამტკიცება და მიმართა საბჭოს, კენჭი ეყაროს მოცემულ საკითხს.

მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ბაკალავრიატის 2020–2021 წლის ანკეტა–კითხვარები;
2. ოკუპაციური თერაპიის სამაგისტრო პროგრამისთვის გამოიყოს 10 ადგილი;
3. დამტკიცდეს "მულტილინგვური განათლების" დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიანი ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამისთვის გამოიყოს 50 ადგილი.
4. სამაგისტრო პროგრამის - "მასწავლებელთა განათლება" - სტუდენტებისთვის დამტკიცდეს ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი.
5. ფსიქოლოგიის სპეციალობაზე მისაღები გამოცდების პრიორიტეტულ საგნებად დამტკიცდეს ქართული ენა, უცხო ენა და მათემატიკა/ისტორია.

ქართული ენა - 4
უცხო ენა - 4
მათემატიკა/ისტორია - 4

5.2. არჩევითი საგნების წილი გადანაწილდეს შემდეგნაირად: ფსიქოლოგიის სპეციალობისთვის გამოყოფილ 225 ადგილზე 70 აბიტურიენტი ჩაირიცხება მათემატიკის ჩაბარებით, ხოლო 155 - ისტორიის.

5.3. ზემოაღნიშნულ საგნებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ქართული ენა - 40
უცხო ენა - 40
ისტორია - 40
მათემატიკა - 25

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე

სხდომის მდივანი: პროფესორი
ლალი სურმანიძე